ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი № 29

19 აპრილი , 2019 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი№2

12 :00 სთ

სხდომას უძღვებოდა: სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე თინათინ ნიბლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

თარაშ შურღაია

ანა ლაშხი

მარიკა დარჩია

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ თინათინ ნიბლოშვილმა, მან დაადასტურა კვორუმი და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის მონაკვეთისთვის ბელა მირიანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ლამის ქუჩის შესახვევისთვის, ლამის II ჩიხისთვის და ასპინძის ქუჩის შესახვევის მონაკვეთისთვის დოდო ჭიჭინაძის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, წერნაქის ქუჩის მონაკვეთისთვის ლეილა აბაშიძის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მახათას ქუჩის შესახვევისთვის ლიანა ასათიანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, მახათას ქუჩისთვის მარინე თბილელის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ერთი გასასვლელისთვის გიორგი დანელიას სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, რევაზ თაბუკაშვილის ქუჩის ჩიხისთვის და შესახვევისთვის მედეა ჯაფარიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ვახტანგ ტაბლიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვასილ ბარნოვის II ჩიხისთვის და ერეკლე ტატიშვილის I ჩიხისთვის მსახიობ გივი ბერიკაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

თინათინ ნიბლოშვილის ინფორმაციით, ქართულ კინოს წელს 111 წელი შეუსრულდა. ხსენებული თარიღის ღირსეულად აღნიშვნის მიზნით, სხდომის თავმჯდომარემ თბილისის რიგი ქუჩებისთვის მსახიობებისა და რეჟისორების სახელების მინიჭების ინიციატივა გააჟღერა. თინათინ ნიბლოშვილის განცხადებით, ადამიანები, რომლებმაც ქართული კინო შექმნეს და დაუვიწყარ მოვლენად აქციეს, ნამდვილად იმსახურებენ, რომ დედაქალაქში მათი სახელობის ქუჩები არსებობდეს და თაობები, რომლებიც ამ ქუჩებში ივლიან ყოველთვის იამაყებენ ქართული კინოს უნიკალურობით.

თინათინ ნიბლოშვილმა კომისიის წევრებს დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები გააცნო. როგორც მან აღნიშნა, კომისიის სამდივნომ კონსულტაციები გამართა მსახიობების ოჯახის წევრებთან და კომისიის, ხოლო შემდეგ საკრებულოს წევრების მხარდაჭერის შემთხვევაში დედაქალაქში გაჩნდება: ბელა მირიანაშვილის, დოდო ჭიჭინაძის, ლეილა აბაშიძის, ლიანა ასათიანის, მარინე თბილელის, გიორგი დანელიას, მედეა ჯაფარიძის, ვახტანგ ტაბლიაშვილის და გივი ბერიკაშვილის სახელობის ქუჩები.

როგორც თინათინ ნიბლოშვილმა აღნიშნა, ქუჩისთვის ვახტანგ ტაბლიაშვილის სახელის მინიჭების მოთხოვნით კომისიაში შემოსულია საქართველოს თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლის გიორგი გეგეჭკორის წერილი, ხოლო რაც შეეხება ერთ-ერთი ქუჩისთვის გივი ბერიკაშვილის სახელის მინიჭებას, კომისიამ აქტიურად იმუშავა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. გეოგრაფიული ობიექტის შერჩევის პროცესში დადგინდა, რომ მთაწმინდის რაიონში არსებობს ვასილ ბარნოვის ქუჩის II ჩიხი, რომელსაც გეგმარებითი არ აქვს ვასილ ბარნოვის ქუჩასთან და ხსენებულ ობიექტებს შორის მდებარეობს ინოლა გურგულიას ქუჩა. გარდა ამისა გამოიკვეთა, რომ ობიექტთან მდებარეობს ერეკლე ტატიშვილის ქუჩის ჩიხი. ხსენებული ჩიხები ერთმანეთთან დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალებებისთვის განკუთვნილი გზით, რაც მათ ერთ დამოუკიდებელ ქუჩად ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა.

სხდომა უჩვეულოდ პოზიტიურ ვითარებაში წარიმართა. კომისიის წევრებმა თითოეული საკითხის ირგვლივ ვრცლად ისაუბრეს, გაიხსენეს არაერთი ფილმი და ისტორია, საც საფუძვლად დაედო ქართული კინოს ისტორიის შექმნას და მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს.

სხდომის დასასრულს თინათინ ნიბლიშვილმა აღნიშნა, რომ ქართული კინოს 111 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 15 მაისს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საკრებულოში მიღებას გამართავს. ღონისძიებაზე მოწვეული იქნებიან იმ მსახიობების

ახლობლები და ოჯახის წევრები, რომელთა სახელებიც თბილისის ქუჩებს მიენიჭება. ღონისძიებაზე ასევე გამოიფინება ქართულ ფილმებში გამოყენებული სამოსი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის

სხდომა

19 აპრილი 2019 წელი

N	სახელი, გვარი	ხელმოწერა
1.	თინათინ ნიბლოშვილი	თ. ნიბლოშვილი
2.	მარიკა დარჩია	
3.	გიორგი ბირბიჩაძე	
4.	ანა ლაშხი	ა. ლაშხი
5.	გულია გოცირიძე	
6.	თარაშ შურღაია	

სახელდებისა და სიმბოლიკის
კომისიის თავმჯდომარე

თინათინ ნიბლოშვილი თ. ნიბლოშვილი